



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 203



2013 წლის 27 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

**ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების  
ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის  
პროგრამის დამტკიცების შესახებ**

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის  
მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების  
ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის 2014 წლის პროგრამა  
საერთო ბიუჯეტით 189 216 (ასოთხმოცდაცხრაათასორასთექვსმეტი) ლარი.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის  
მუნიციპალიტეტის სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



## ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის 13 ძირითად სახეობაში. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“.

### მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ აღსაზრდელზე 18 ლარის ოდენობით. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს პირველ რიგში მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მავნე ჩვევებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები ხელს შეუწყობს აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირებას და პედაგოგთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მოსწავლეთა დამატებული კონტიგენტის დაფინანსება დაიწყება ჯგუფების დაკომპლექტებისა და მათი ფაქტობრივი რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემდეგ.

### მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყოფა 189216 ლარი, რაც გათვლილია 876 მოსწავლეზე და ეფუძნება სკოლაში აღსაზრდელთა ფაქტიურად დარეგისტრირებულ სიდიდეს პროგრამის შედგენის მომენტისათვის. იმდენად, რამდენადაც მოსწავლეთა აღნიშნული რიცხოვნობა სპორტის ყველა სახეობის ჯგუფებითაა შედგენილი, დაფინანსდება ჩასატარებელი საათები სპორტის შემდეგ სახეობებში: ქართული ჭიდაობა (3ჯგუფი) ჭიდაობა ძიუდო (3ჯგუფი), ჭიდაობა სამბო (4ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1ჯგუფი), მძლეოსნობა (3ჯგუფი), ჭადრაკი (3ჯგუფი), კალათბურთი (8ჯგუფი), ფეხბურთი (14ჯგუფი), ჩოგბურთი (1ჯგუფი), ძალოსნობა (2ჯგუფი).რაგბი (2 ჯგუფი), ბატუტზე ხტომა (1 ჯგუფი)

#### **მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი**

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;  
სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება;  
სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

#### **მუხლი 6. შეფასების ინდიკატორი**

სხვადასხვა დონის ტურნირებზე წარმატებულ სპორტსმენტა რაოდენობა.